საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ნ. გ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 05.05.23

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი - 041/23

საჩივარი შეტანილია - ადვოკატ თ. ქ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ თ. ქ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 5 მაისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ნ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ქ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის თანახმად, მომჩივანს პრეტენზია აქვს თავის კოლეგასთან, ადვოკატ თ. ქ.-სთან, რომელიც ეთიკის კომისიაში მიმდინარე №--- დისციპლინურ საქმეში, მისი პროცესუალურად დაპირისპირებული მხარეა. საჩივრის თანახმად ადვოკმა, თ. ქ.-მ №--- დისციპლინური საქმის წარმოების ფარგლებში თავისი ქმედებით, ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ დაარღვია კოლეგიალობის

პრინციპი - №--- დისციპლინური საქმის განმხილველ კოლეგიას, საჩივრის ავტორის ჯამრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით მიაწოდა არასწორი, ცრუ ინფორმაცია და მომჩივანის მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლის ავთენტურობის გადამოწმების მიზნით დაუკავშირდა მის პირად ექიმს.

1.3 საჩივრის თანახმად, ადვოკატ ნ. გ.-ს 2023 წლის მარტში შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები, რის გამოც 16 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით ის საავადმყოფო ფურცლით სარგებლობდა, აღნიშნული საფუძველით მან №--- დისციპლინურ საქმეზე იშუამდგომლა ჩანიშნული სხდომის გადადება. ადვოკატმა თ. ქ.-მ ეჭვქვეშ დააყენა მომჩივანის მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცელი და განაცხადა, რომ ის არ იყო ავად, ხოლო გადამოწმების მიზნით დაურეკა მომჩივანის პირად ექიმს და დაშინებით ეცადა მისგან ინფორმაციის გამოძალვას. ამასთან ადვოკატმა თ. ქ.-მ მომჩივანის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, გადადებულიყო სხდომა განმარტა, რომ ერთ-ერთმა ადვოკატმა - დ. მ.-მა, მომჩივანი, ავადმყოფობის პერიოდში უბნის მაღაზიაში დაინახა და ეს გამორიცხავდა მის ავადმყოფობის ფაქტს, რაც საჩივრის თანახმად სიცრუეა და არ შეესაბამება სიმართლეს.

1.4 საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ თ. ქ.-მ თავისი ქმედებით დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. საჩივრის ავტორის შუამდგომლობები:

2.1 საჩივრის ავტორი შუამდგომლობს საპროცესო კოლეგიამ გამოითხოვოს №--- დისციპლინური საქმის მასალები და მიმდინარე საქმეს დაურთოს №--- დისციპლინურ საქმეზე ჩატარებული სხდომის ოქმების დეტალური სკრიპტი.

2.2 საჩივრის ავტორი შუამდგომლობს, რომ ეთიკის კომისიამ შეამოწმოს მისი საცხოვრებელი ადგილის მიმდებარედ არსებული სავაჭრო ობიექტები და გამოკითხოს იქ მომუშავე პერსონალი, დადიოდა, თუ არა ნ. გ. ავადმყოფობის პერიოდში მაღაზიაში.

2.3 საჩივრის ავტორი აყენებს შუამდგომლობას, მოწმის სახით დაიკითხოს ადვოკატი ლ. ზ. და ადვოკატი მ. ძ., რომლებმაც ის ავადმყოფობის პერიოდში რამდენჯერმე მოინახულეს.

2.4 მომჩივანი შუამდგომლობს მისი მეუღლის ჯ. ხ.-ს მოწმედ დაკითხვას, რომელიც მისი განმარტებით, დაადასტურებს, რომ ადვოკატი ნ. გ. ნამვილად იყო ავად.

2.5 საჩივრის ავტორი შუამდგომლობს, რომ ეთიკის კომისიამ დაავალოს ადვოკატ დ. მ.-ს წარმოადგინოს მტკიცებულება (ვიდეოკამერის ჩანაწერების სახით, სადაც მითითებული იქნება თარიღი და ადგილმდებარება), რომელიც დაადასტურებს, რომ მომჩივანი ავადმყოფობის პერიოდში ნამდვილად იმყოფებოდა მაღაზიაში.

2.6 საჩივრის ავტორი შუმდგომლობს, ეთიკის კომისიის წინაშე დაიკითხოს მისი ოჯახის ექიმი ნ. ნ., რომელიც დაადასტურებს, რომ ადვოკატმა დ. მ.-მა მას ნამდვილად დაურეკა.

3. **ადვოკატის პოზიცია:**

2023 წლის 11 მაისს ადვოკატმა თ. ქ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განმარტებით ადვოკატ ნ. გ.-ის საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ახსნა-განმარტების თანახმად, ის ნამდვილად დაუკავშრდა ადვოკატ, ნ. გ.-ის ექიმს, რათა გადაემოწმებინა მხარის მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლის ავთენტურობა. ამასთან, ნ. გ.-მ თავისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, საავადმყოფო ფურცლის წარმოდგენით, თავად გახადა საქმის მონაწილე პირებისთვის საჯარო, ხოლო მას, როგორც პროცესუალურად დაპირისპირებულ მხარეს ჰქონდა უფლება ეჭვქვეშ დაეყენებინა მხარის შუამდგომლობა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

4.1 ადვოკატი თ. ქ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/ სპეცილიზაცია- საერთო.

4.2 ადვოკატმა ნ. გ.-მ /სიითი №/ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 5 მაისს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წლის მარტში შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

5. **შემაჯამებელი დასკვნა**

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ თ. ქ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. **სამართლებრივი შეფასება**

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. ქ.-მ დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი და №--- დისციპლინური საქმის განმხილველ კოლეგიას, მასთან დაკავშირებით მიაწოდა არასწორი ინფორმაცია და საავადმყოფო ფურცლის გადამოწმების მიზნით დაუკავშირდა მის პირად ექიმს.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ქ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7);
>
> „საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება.“ (ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 3 „ა“);

6.3 ადვოკატის პროფესია დამოუკიდებელი და თავისუფალია, საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას პირი საკუთარი პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე უზრუნველყოფს კლიენტის ინტერესების დაცვას და ხელმძღვანელობს კანონითა და ეთიკის ნორმებით. ადვოკატის პროფესია ავტონომიურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და პროფესიის თვითრეგულირებადი ხასიათი გამორიცხავს ადვოკატის საქმიანობაში, პირდაპირ თუ ირიბად, მესამე პირთა თვითნებურ ჩარევას. მიუხედავად, ამისა ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე სუბიექტსა და მის შედეგებზე ზემოქმედების შესაძლებლობების მქონე პირს, ეკისრება რიგი ვალებულებები, როგორც კლიენტის ასევე პროფესიის და კანონის უზენაესობის მიმართ.

6.4 საერთო კორპორაციული ინტერესების გათვალისწინებით, ადვოკატს უპირატესად ეკისრება კანონიერებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა. თავის მხრივ, კოლეგის მიმართ დადებითი, პატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, სწორედ პროფესიის საერთო კორპორაციულ ინტერესებიდან გამომდინარეობს და მიზნად ისახავს საზოგადოებაში ადვოკატის სტატუსის მიმართ ნდობის გაღრმავებას. კოლეგიალობის პრინციპი, ნეგატიური ვალდებულების ძალით აკისრებს ადვოკატს კოლეგის შეურაცხყოფისგან თავის შეკავების მოვალეობას, ხოლო პოზიტიური ვალდებულების ძალით, მოითხოვს მისგან კოლეგის მიმართ ღირსეული, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

6.5 მიუხედავად აღნიშნული პრინციპით მისაღწევი, საერთო კორპორაციული ინტერესისა, კოლეგიალობის პრინციპის დაცვის პოზიტიური ვალდებულება, ადვოკატებს შორის დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში, კარგავს აქტუალურობას და კონფლიქტში მყოფ პირებს სავალდებულო ძალით ვერ სთხოვს ერთმანეთის მიმართ, დადებითი, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამის საპირისპიროდ კოლეგებს შორის კონფლიქტური ურთიერთობის ჩამოყალიბების შემთხვევაში, პოზიტიური ვალდებულების მოქმედების შემცირების პროპორციულად, იზრდება კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ნეგატიური ვალდებულების ფორმა და კონფლიქტში მყოფი ადვოკატებისგან, გამკაცრებულად მოითხოვს, კოლეგიალობის პრინციპის დაცვას. კერძოდ, კოლეგიალობის პრინციპი მოითხოვს, ადვოკატებმა შეინარჩუნონ ერთმანეთის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება და საგნობრივად, პირადი შეურაცხოფისა და დამცირების მიზნის გარეშე, პროფესიული დასაშვები კრიტიკის უფლების ფარგლებში, გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. აღნიშნულ სულისკვეთებას იზიარებს ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მე-12 მუხლი, რომლითაც, „ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შენარჩუნებაზე“.

6.6 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ

მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

6.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატი თ. ქ. დაუკავშრდა მის პირად ექიმს და ეცადა მისგან ინფორმაციის გამოძალვას. ამასთან მან ეჭვქვეშ დააყენა წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლის ავთენტურობა და ცილი დასწამა, რომ ადვოკატი ავადმყოფობის პერიოდში იმყოფებოდა სავაჭრო ობიექტებში.

6.8 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატ თ. ქ.-ის ქმედებები და მისი განცხადებები თავისი შინაარსით, ფორმითა და კონტექსტით, გამოხატვის თავისუფლებისა და პროფესიული კრიტიკის უფლების გათვალისწინებით შეფასდეს, რათა დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული იყოს ადვოკატის როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

6.9 გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულების საფუძველზე, სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით და საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაში იღებს დევნის აღძვრის ან არაღძვრის შესახებ გადაწყვეტილებას. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენას“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013). საპროცესო კოლეგია იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ შეშესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის საჭირო მტკიცება, რომ თ. ქ.-მ ცილი დასწამა კოლეგას და თავისი ქმედებით მიაყენა შეურაცხყოფა, ეკისრება ადვოკატ ნ. გ.-ს.

6.10 მომჩივანმა, თავის მხრივ საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად წარმოადგინა, ეთიკის კომისიის დისციპლინური წარმოების სხდომის ოქმის ჩანაწერი, რომელიც 2023 წლის 27 მარტით თარიღდება. ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ადვოკატი ნ. გ. ვერ დაესწრო დისციპლინურ სხდომას, მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა და მისმა წარმომადგენელმა იშუამდგომლა სხდომის გადადება. თ. ქ.-მ შუამდგომლობასთან დაკავშირებით დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და მოითხოვა სხდომა არ გადადებულიყო, მან ეჭვქვეშ დააყენა ნ. გ.-ის მიერ წარმოდგენილი ავადმყოფობის შესახებ ცნობა და მოითხოვა სხდომის გაგრძელება, ამასთან მან დაადასტურა რომ საავადმყოფო ფურცლის ავთენტურობის გადამოწმების მიზნით ის დაუკავშირდა ნ. გ.-ის პირად ექიმს.

6.11 საპროცესო კოლეგია განმარტავს, საჩივრის ავტორის პრეტენზიები, იმისგან დამოუკიდებლად დასტურდება თუ არა ისინი, არ წარმოადგენენ დისციპლინური დევნის აღძვრისთვის საკმარის

საფუძველს. ადვოკატ თ. ქ.-ს სრული უფლება ჰქონდა ეჭვქვეშ დაეყენებინა მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის სანდოობა და კანონის ფარგლებში გადაემოწმებინა მისი ავთენტურობა. „მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ - კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;“ (საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებს, მუხლი 5 „ვ“). ვინაიდან მომჩვანმა მოცემული ინფორმაცია თვითონ გახადა ხელმისაწვდომი მისი გადამოწმების უფლება ჰქონდა პროცესის მომნაწილე მხარეს. თავის მხრივ პირადი ექიმისთვის დარეკვა, მიუხედავად იმისა თავად საჩივრის ავტორსითვის მიუღებელია თუ არა აღნიშნული, არ წარმოადგენს არაკანონიერ, თუ არაეთიკურ ქმედებას. შესაბამისად ადვოკატ თ. ქ.-ის ქმედებები, შინაარსობრივად თანხვედრაშია მის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის უფლება-მოვალეობებთან და არ არღვევს კანონსა და ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმებს.

6.12 რაც შეეხება, გამოხატვის ფორმას, მიმართვას და მიზანს, საპროცესო კოლეგიამ საჩივარში აღწერილი პრეტენზიების გათვალისწინებით შეაფასა, ადვოკატ თ. ქ.-ს მიერ უშუალოდ სხდომის მიმდინარეობისას გაკეთებული შემდეგი განცხადებები: „მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ გადადების იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ მე დღეს მის ექიმს ნამდვილად ველაპარაკე... ექიმს ეგონა, რომ ტელეფონი ჰქონდა გათიშული და ეხლავე უნდა დავურეკოო გავაუქმოო ეს ბიულეტენიო... მე ზედმეტი თავის ტკივილი არ მჭირდებაო. მე ეს საუბარი ჩაწერილი მაქვს... 29-ში უნდა ყოფილიყო ბრალდებული ნ. გ.-ის სისხლის სამართლის საქმე და იქაც შეუტანია, თურმე წინასწარ იცის, რომ 29-ში ისევ ცუდად იქნება. ასევე, ქალბატონმა დ. მ.-მა გუშინ მაღაზიის ტერიტორიაზე ნახა ქალბატონი ნ., არაფერი არ ჭირდა ისეთი ჩვეულებრივად იყოო.“

6.13 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ქ.-ის კონკრეტული განცხადებები ჯდება გამოხატვის თავისუფლების უფლებაში, არ არღვევს პირის კანონის დაცვის ღირს ინტერესებს და გამომდინარეობს დისციპლინური საქმის მხარის უფლება-მოვალეობებიდან. ადვოკატ თ. ქ.-ს, შუამდგომლობასთან დაკავშრებით საკუთარი პოზიცია არ ჩამოუყალიბებია უხამსი ან/და საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის სტანდარტისგან აშკარად შეუსაბამო ფორმით. რაც შეეხება საკუთარი პოზიციის მკაცრი, საჩივრის ავტორისთვის მიუღებელი ფორმით დაფიქსირებას, გამომდინარე იქიდან, რომ მისი განცხადება თავისი შინაარსითა და ფორმით არ სცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, გამომდინარეობს პროცესში მონაწილე მხარის უფლება-მოვალეობიდან და ჯდება პროფესიული კრიტიკის უფლების ფარგლებში.

6.14 რაც შეეხება საჩივრის ავტორის შუამდგომლობებს, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ ნ. გ.-ის თითოეული შუამდგომლობა მიემართება საჩივარში აღწერილი ფაქტების დამტკიცებას და იმ პრეტენზიების მტკიცებულებებით გამყარებას, რომელიც საპროცესო კოლეგიამ არ მიიჩნია, თუნდაც მათი დამტკიცების შემთხვევაში, დისციპლინური დევნის დაწყებისთვის საკმარის საფუძვლად, შესაბამისად კოლეგიამ არ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობები.

6.15 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ თ. ქ.-ის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა

პროფესიული ეთიკის 7 მუხლით გათვალისწინებული დარღვევა და ადვოკატის თ. ქ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

6.16 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს 32–ე, 33–ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №041/23 ადვოკატ თ. ქ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/